თუმცა პირადად არ გვიცნობთ და „საქართველოს" არ იღებულობთ, მაგრამ თქვენი ადრესი გვაცნობეთ და გიგზავნით.

# საქართველო

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო

წლიური ფასი : **5** მან. თითო ნომერი : **25** კაპ.

| № 3 (15) | წელიწადი მეორე | 1 ივლისი 1904 წ. | № 3 (15) |
|---|---|---|---|

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი :
**51, rue Saint-Sauveur, PARIS.**

ცალკე ნომრები ისყიდება :
**SOCIÉTÉ NOUVELLE de LIBRAIRIE & d'ÉDITION.**
**17, rue Cujas. PARIS (V^e).**

## შინაარსი

ეროვნული კითხვა (ვერმიცანიძისა). — ქართულ ცხოვრების მატიანე. — პოლონეთი. — უკიდურეს ნაციონალიზმის ნიმუშები (დასასრული). — ფინლანდია. — მცირე შენიშვნა მეგრელის წერილის გამო (რედ.). — რედაქციისაგან. — განცხადებანი.

## ეროვნული კითხვა (1)

რა არის ეროვნული კითხვა და, კერძოდ, რანაირად უნდა გადასწყდეს ეს კითხვა ჩვენში ? აი ამის შესახებ მსურს გაგიზიაროთ ჩემი აზრი. არ ვიჩემებ ჩემი მოხსენება მეცნიერულად დასაბუთებული იქნება'მეთქი ; ეს იქმნება მხოლოდ მცირედი შენიშვნები და მოსაზრებანი იმისთანა კაცისა, რომელსაც აინტერესებს ეს კითხვა ; ამის შესახებ ცოტა რამ წაუკითხავს, ცოტა რამ გაუგონია, უფიქრნია და ასეთი თუ ისეთი შეხედულობა შეუმუშავებია.

როცა ეროვნულ კითხვის შესახებ ვიწყებთ მსჯელობას, უწინარეს ყოვლისა უნდა განვმარტოთ, თუ რა არის ერი ? ცნება « ერის » ნიშანდობლივ თვისებებს არ შეადგენენ არც ენა, არც ტერიტორია და არც ეტნიური ხასიათი ; ამ ცნების თანდაყოლილი, აუცილებელი თვისებაა — შეგნება, თვითშემეცნება ; ეროვნება არის შეგნება განსაზღვრულ ჯგუფის მიერ თვისის პიროვნებისა და სურვილი დაიცვას ეს პიროვნება.

ეს ეროვნული შეგნება შემუშავებულია ჩვენგან დამოუკიდებელ ისტორიულ პროცესის მიერ და ჩვენ არ შეგვიძლიან მისი მოსპობა ; პირიქით ისტორიულად შექმნილს ძალას ჩვენდა უნებურად ვემორჩილებით და მის ფეხის ხმას ვყვებით. ეს შეგნებაა, რომ იწვევს ჩვენში განსაზღვრულ ემოციებს, როდესაც, მაგ., ასე თუ ისე ახსენებენ სიტყვას « ქართველი » — ეს ის ფსიხიური ატმოსფერაა, რომლის გავლენას ვერ ასცდება ვერც ერთი ნაწილი, ვერც ერთი კლასი იმ თვითშეგნებულ ჯგუფისა, სახელად ერს რომ ვუწოდებთ ხოლმე.

ზემოდ მოყვანილი განმარტება ცნებისა განყენებულია, ფორმალურია. « შეგნება, თვითშემეცნება » მუდმივი ფორმაა ცნებისა « ერი ». მუდმივია იმდენად, რამდენადაც მუდმივია თვით ცნება. ეს განმარტება ცნებისა იქნება ჭეშმარიტი იქამდისინ, სანამდისინ სუფევენ ის მოვლენანი, რომელნიც ჰბადვენ ჩვენში თვით ამ ცნებას. მაგრამ ის კონკრეტული შინაარსი, რომლითაც ავსებენ ხოლმე ამ მუდმივ ფორმას, ცვალებადია : სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ადგილს ეს მუდმივი ფორმა შეიცავს ხოლმე სხვა და სხვა გვარ კონკრეტულ შინაარსს. მარტო დროსა და ადგილზე არ არის დამოკიდებული მისი ცვალებადობა. ეგრედ წოდებულ ერის სხვა და სხვა, ბევრად თუ ცოტად ერთგვარ, წრეებში სხვა და სხვანაირად ესმისთ ეროვნული კითხვა.

რომ ჩემი აზრი უფრო ნათელვყო, მოვიყვან ზოგიერთ მაგალითებს. ჩვენში ეროვნული კითხვა აინტერესებს სუყველას — ბრმა პატრიოტებიდან მოკიდებული, თვით მუშათა კლასამდინ. მაგრამ პირველთ ეროვნულ კულტურის ზრდისათვის სხვა პირობების შექმნა სწადიათ, ვიდრე მეორეთ. მათს შორის საერთოა ეროვნული თვიუშეგნება, ხოლო ერთმანეთისაგან კი განსხვავდებიან იმ კონკრეტულ შინაარსით, რომლითაც ჰსურსთ აავსონ ეს შეგნება, მუდმივი ფორმა ცნება ერისა. მაშასადამე ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილზე, მაგრამ სხვა და სავა წრეებში კონკრეტული შინაარსი ერთი და იგივე არ არის.

ეროვნული კითხვა აღელვებს როგორც ქართველ ს.-დემოკრატიას, ისე პოლონელს, მაგრამ ამ კითხვის გადასაწყვეტად პოლონელი ს.-დ. თხოულობს პოლონეთის სრულს ავტონომიას, მაშინ როდესაც ქართველი ს.-დ. სჯერდება « საოლქო თვითმმართველობას » (**областное самоуправленіе**) და სამშობლო ენის თავისუფლად ხმარებას სკოლასა და სახელმწიფო დაწესებულებებში. როგორც ხედავთ, ერთსა და იმავე დროს, ხოლო სხვა და სხვა ადგილას ერთგვარნი წრენი სულ სხვა და სხვას თხოულობენ ეროვნულ კითხვის გადასაწყვეტად. მათს შორის საერთოა ეროვნული თვითშეგნება, ხოლო ერთმანერთისაგან კი განსხვავდებიან ამ თვითშეგნების კონკრეტულ შინაარსით.

რასაკვირველია, ამით იმის თქმა კი არა გვსურს, რომ ამის მიზეზი ვითომ პოლონეთის და საქართველოს ცათა სხვა და სხვაობა იყოს ! პოლონეთში საზოგადო ძალთა განწყობილება და მთელი საზოგადო ცხოვრება სხვა დონეზე დგას, ვიდრე ჩვენში. პოლონეთის ს.-დემეკრატია მარტო მის ორგანულ კონსტიტუციაში ჩაქსოვილ პრინციპებით რომ ხელმძღვანელობდეს, დაკმაყოფილდებოდა იმით, რითაც დაკმა-

(1) წაკითხულ იყო ქართვ. რევ. კონფერენციაზე.

ყოფილდა ქართველი ს.-დემოკრატია; მაგრამ ერთის მხრივ, პოლონელ პროლეტარიატში ეროვნულ გრძნობის ზრდამ და, მეორე მხრივ, საზოგადო ძალთა ურთიერთ განწყობილებამ აიძულა პოლონელი ს.-დემოკრატია ეროვნულ კითხვის საქმეში იმ გზას დასდგომოდა, რომელიც უკვე ვახსენეთ.

გვგონია ამ მაგალითების შემდეგ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რას ვგულისხმობთ, როცა ვლაპარაკობთ ცნება « ერის » მუდმივ ფორმასა და მის კონკრეტულ შინაარსზე.

ჩვენს არსებაში ჩვენდა უნებურად დამკვიდრებული ეროვნული თვითშეგნება გვაიძულებს ვეძიოთ მისი დროის შესაფერი კონკრეტული შინაარსი. ამ ძებნის დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ შემდეგის პრინციპით: დამყარდეს იმისთანა პირობები, რომელიც ერთის მხრივ ფართოდ ხელს უწყობდნენ ქართველ ერის სრულ კულტურულ ზრდას და მეორეს მხრივ აღვიძებდნენ და ავითარებდნენ მასში ერთა შორის სოლიდარობის გრძნობებს. ამ მხრივ ქართველ ერის სრული პოლიტიკური ავტონომია და რუსეთში მყოფ სხვა ერებთან ფედერატიულად დაკავშირება, თანახმად ორგანო « საქართველო »'სი, საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს!

ავტონომია ხელს შეუწყობს ჩვენის ერის დაუბრკოლებლივ კულტურულ განვითარებას; ამ წესწყობილების საშუალებით სავსებით განვითარდებიან საუკეთესო მხარენი ჩვენის ეროვნებისა; ფედერაცია კი განუვითარებს მას უფრო ფართო შეხედულობას და ყოველდღიური თავისუფალი და მჭიდრო დამოკიდებულება განამტკიცებს მასში ერთაშორისო სოლიდარობის გრძნობას. და ამასთანავე ეს იქნება საუკეთესო საშუალება ეროვნულ ცხოვრების უკუღმართ მხარეებთან საბრძოლველად.

იტყვიან — ავტონომია, ფედერაცია, ხომ ლიტონი სიტყვებია; განმარტეთ უფრო კონკრეტულად, თუ რანაირი ავტონომია გინდათ და რანაირი ფედერაციაო. აქ, ჩვენს კონფერენციაზე, შესაძლებლად არ მიგვაჩნია შევიმუშაოთ დაწვრილებითი პროექტი მომავალ ავტონომიურ და ფედერატიულ კონსტიტუციისა. აქ მხოლოდ შეიძლება იმ პრინციპების დასახელება, რომელნიც უნდა დაედონ საფუძვლად ამ დაწესებულებებს: 1) უნდა დამყარდეს სრული დემოკრატიული რეჟიმი ვრცელის ადგილობრივის თვითმმართველობით; 2) ყველა არაქართველ ერთ, საქართველოში მცხოვრებთ, უნდა მიენიჭოსთ საშუალება სრულიად დაუბრკოლებლივ დაიკმაყოფილონ თავიანთი კულტურული, მოქალაქობრივი და სხვა ამგვარი მოთხოვნილებანი; 3) სარწმუნოება უნდა ჩაითვალოს კერძო საქმედ, კაცთა სინიდისზე დამოკიდებულ საქმედ; 4) უნდა მოისპონ პირობანი, რომელთაც კი შეეძლებათ ხელი შეუშალონ თავისუფალ ასოციაციების აღორძინებას და მათს შეკავშირებას; 5) უნდა მოისპოს პირობანი, რომელთაც შეეძლებათ კერძო და კოლექტივურ ინიციატივის შეზღუდვა.

ფედერალური პარლამენტი უნდა გახდეს ისეთ ორგანოდ, რომელმაც უნდა განაწესრიგოს შეკავშირებულ ერთა ბუნებრივად და ორგანიულად დაბადებული მოთხოვნილებანი, და არა ფედალურ მთავრობის მიერ კაბინეტებში შეთხზულ პროექტების დამაკანონებელ დაწესებულებად.

ფედერალურ მთავრობის « ინიციატივა » დაკანონებამდე უნდა განხილულ იქმნეს სუყველა ავტონომიურ სახელმწიფოთა თვითმმართველ კომუნებში (refferendum) და მერე უნდა ან დაკანონდეს ან უკუგდებულ იქმნას.

მერე რა შედეგი მოჰყვება ამგვარ წესწყობილების განხორციელებას? ერთა დამონავებას, მათს შორის შუღლსა და სიძულვილს მოეღება ბოლო და მთელი რუსეთი, ეროვნულ კითხვისაგან, ამ სულთამხუთავ მაჯლაჯუნასაგან განთავისუფლებული, უფრო შეიარაღებული იქმნება უმაღლეს მიზნის მიღწევისათვის სამოქმედოდ.

ამ აზრის წინააღმდეგ შეიძლება ბევრი რამ ითქვას: მაგ., სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ გვიპასუხონ: ის, რაც ჩვენს პროგრამაში შევიტანეთ, სრულიად საკმარის პირობებს ამყარებენ ქართველ ერის კულტურულ ზრდისათვის და ავტონომია-ფედერაცია, როგორც წინააღმდეგნი ჩვენის დედა-პრინციპის, ცენტრალიზმისა, არ შეგვიძლია მივიღოთო.

რას გვპირდება სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატია? გადავშალოთ მათი პროგრამა. შიგ ვიპოვით მე-3, 8 და 9 მუხლებს (გვ. 3. ოქ.), სადაც ნათქვამია:

მუხ. 3. — ვრცელი ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო (**областное**) თვითმმართველობა იმგვარ ქვეყნებისათვის, რომელნიც განირჩევიან ცხოვრების პირობებით და მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებით.

მუხ. 8. — ხალხს ეძლევა უფლება მიიღოს განათლება დედა-ენაზე; სახელმწიფომ და ადგილობრივის თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გახსნან და შეინახონ ხალხის განათლებისათვის საჭირო სკოლები; ყოველ მოქალაქეს ეძლევა უფლება ილაპარაკოს სამშობლო ენაზე კრებების დროს; სახელმწიფო ენასთან ერთად დედა-ენასაც ექმნება თანასწორი უფლება საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში.

მუხ. 9. — ყოველ ერს რუსეთის იმპერიისას ეძლევა უფლება თვითგამორკვევისა.

გავჩერდეთ ჯერ ამ « თვითგამორკვევა »'ზე. როგორც კამათმა გამოარკვია, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რომელმამე ერმა მოისურვა განცალკევება, ამას რუსეთის ს.-დემოკრატია ხელს არ შეუშლის... კარგი და პატიოსანი! მაგრამ თუ რომელსამე ერს არ სურს განცალკევება და მხოლოდ უნდა რუსეთში მყოფ ერებთან ერთგვარი დამოკიდებულება იქონიოს, მაშინ თქვენ რას ეტყვით ამ ერს? ამაზე რ. ს.-დემოკრატია სდუმს. ეგებ მისმა ქართველ წევრებმა მოგვცენ პასუხი! მე-3 და მე-8 მუხლნი ანიჭებენ ერებს იმას, რაც უკვე განხორციელებულია ავსტრიაში. აქ მოვიყვანთ ავსტრიის კონსტიტუციიდან სწორედ იმ მუხლს, რომელიც ეხება ეროვნულ კითხვას: « სუყველა რასები, სახელმწიფოში მყოფნი, თანასწორნი არიან კანონის წინაშე; კერძოდ სუყველას აქვს ხელშეუხლებელი უფლება დაიცვას თავისი ეროვნება და ენა. სახელმწიფოში არსებულ ენათა თანასწორობა სკოლებსა, სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადო ცხოვრებაში აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. იმ მხარეებში, სადაც თავი მოუყრიათ სხვა და სხვა რასათა წარმომადგენელთა, საზოგადო განათლების გამავრცელებელი დაწესებულებანი იმ რიგად უნდა იყვნენ მოწყობილნი, რომ არცერთი მათგანი არ იყოს ვალდებული შეისწავლოს უცხო ენა; ყოველ რასას კერძოდ მის დედა-ენის საშუალებით უნდა გადაეცეს სწავლა-განათლება » (1).

---

(1) ამოღებულია სენიობოსის წიგნიდან: Histoire politique de l'Europe contemporaine, page 503.

ახლა ერთი ვიკითხოთ, რა მოჰყვა ამას? ეროვ-
ნული კითხვა ისე არსადაა გამწვავებული, და ამის
გამო მთელი საზოგადო ცხოვრება შეჩერებული, რო-
გორც ავსტრიაში. ეს ასეც უნდა იყოს. აქ ერთი
ერია გაბატონებული და მოწყალების დამრიგებელი.
უნდა იცოდეთ, რომ ეროვნული თავმოყვარეობა,
სიამაყე — ფაქტია და ეს არ უნდა დაივიწყოთ
ხოლმე, როცა ეროვნულ კითხვის შესახებ იწყებთ
ლაპარაკს; უნდა იცოდეთ, რომ არავინ არ დაკმაყო-
ფილდება სხვის ნასუფრალით.

მაგრამ ს.-დემოკრატებს შეუძლიათ სთქვან: ჩვენ
მხოლოდ პროლეტარიატი გვაინტერესებს და არა ერი;
ჩვენ მხოლოდ იმისთანა პირობების შექმნა გვინდა,
რომ პროლეტარიატის კულტურულ განვითარებას არ
აფერხებდეს არაფერიო. თუ შეგვაქვს ენის თანასწო-
რობა სკოლებსა, სამსჯავროსა და სახელმწიფო დაწე-
სებულებებში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დაწესე-
ბულებებთან ექმნება საქმე პროლეტარიატსაო. მაშ თუ
მაგრეა, რატომ შეეხეთ თქვენს კონგრესზე საზოგადოდ
ეროვნულ კითხვას? რატომ დადადებდნენ ზოგიერთნი
თქვენი დელეგატები, რომ ეროვნულ კულტურის
ზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა არ ეწინააღ-
მდეგება პროლეტარიატის ინტერესებსაო? (1) მაშ თუ
ასეა, რის მაქნისია თქვენი «областное самоуправ
ленie»?

მაგრამ გავარკვიოთ საგანი არსებითად. ნუ თუ
თქვენ, ბბ. ქართველნო ს.-დემოკრატნო, გგონიათ,
რომ პროლეტარიატი არ არის დაინტერესებული ეროვ-
ნულ კითხვის ძირითად გადაწყვეტაში? ხომ ხედავთ,
რომ თქვენი სანახევრო ზომები არ სწყვეტენ ამ კი-
თხვას? და თუ მაგრეა, ხომ იცით, რა შედეგი მოჰ-
ყვება ამას? შუღლი, მტრობა სიძულვილი გაბატონე-
ბულ და დამორჩილებულ ერთა შორის. ხომ იცით,
რა ფსიხიური ატმოსფერა სდგება ამგვარ განწყობი-
ლების გამო! ეგებ გონიათ, რომ პროლეტარიატი
მარსზე ცხოვრობს, რომ არ იგრძნოს ამ ატმოსფერის
გავლენა და თითონაც არ ჩაერიოს ამ ერთა შორის
ატეხილ ბრძოლაში? ამ შემთხვევაში ხომ ერთი ნაწი-
ლი თვისის ენერგიისა ამ უკუღმართ მოვლენათა მიერ
გამოწვეულ ბრძოლაში უნდა დახარჯოს; მაშინ რო-
დესაც მთელი მისი ენერგია საჭიროამისის და მთელის
კაცობრიობის ინტეგრალურ განთავისუფლებისათვის
საბრძოლველად. ავსტრიელ ს.-დემოკრატებისაგან
მაინც აგვეღოთ მაგალითი. მათ ეროვნულ ბრძოლისა და
უთანხმოების მოსასპობლად თავიანთ პროგრამაში
შეტანილი აქვსთ ფედერატიული ავსტრია.

ქართველმა ს.-დემოკრატებმა შეიძლება კიდევა
სთქვან, — ჩვენ სოციალისტები ვართ და არა ნაციონა-
ლისტებიო. განა სურვილი და ძალღონის ხმარება
ეროვნულ კითხვის გადასაწყვეტად ნაციონალისტად
ხდის კაცსა? მეცნიერნი ხოლერას ებრძვიან, მაშ ხო-
ლერის არსებობის მომხრენი ყოფილან? სოციალიზ-
მი მხოლოდ მაშინ გაშლის თავისუფლად ფრთებს,
როდესაც ერებს აღარ ექმნებათ გარეშე პო-
ლიტიკა, არამედ ექნებათ მხოლოდ შინა-
განი; და ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, რო-
დესაც ყველა ერები, ავტონომიურად
დამოუკიდებულნი, შეადგენენ ერთა კონ-
ფედერაციას.

—

ახლა ორიოდე სიტყვა სეპარატისტებს,

დამოუკიდებელი, განკერძოვებული საქართველო,
შესაძლებელი რომ იყოს მაინც (რაიც დიდად საე-
ჭვოა), არაა სასურველი. იმიტომ, რომ თავისუფალ
ორგანიზმად გამხდარ სახელმწიფოს თან დაყოლილი
აქვს ტენდენცია — იზარდოს, გაფართოვდეს; ამგვა-
რივე ტენდენცია ექნება საქართველოს და, ამასთა-
ნავე, მის მეზობელ დამოუკიდებელ სახელმწიფოებ-
საც. ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ ან საქართვე-
ლომ ვინმე თავის მეზობელთაგანი უნდა ჩანთქას ან
თითონ უნდა იქმნეს ჩანთქმული. ორსავე შემთხვე-
ვას არასასურველი შედეგი მოჰყვება: იგივე დაუბო-
ლოვებელი ერთა შორის სიძულვილი და მტრობა!
გარდა ამისა, თავისუფალ საქართველოს თან დაჰ-
ყვება თავისუფალ სახელმწიფოთა სუყველა ნაკლუ-
ლევანებანი: აუარებელ ჯარის საჭიროება საზღვრე-
ბის დასაცავად, შოვინისმი, როგორც შედეგი პირვე-
ლისა, საბაჟო და ბოლოს — კარჩაკეტილობა.

იტყვიან... თქვენი გეგმა კარგია, მაგრამ როგორ,
რა საშუალებით გინდათ განახორციელოთ იგიო. ამის
განსახორციელებლად საჭიროა ორი რამ: ერთი, ისა,
რომ ჩვენს ხალხს ძვალ-რბილში გაუჯდეს ავტონო-
მიისა და ფედერაციის საჭიროება, მეორე ისა, რომ
ამგვარივე შეხედულების მომხრენი იყვნენ რუსეთში
მყოფნი ერნი, ყველანი უკლებლივ.

იდეა ეროვნულ ავტონომიისა მგონი საკმარისად
გავრცელებულია ჩვენში და, თუ არ არის, ჩვენ იმი-
ტომ ვარსებობთ, რომ გავავრცელოთ ეს იდეა. რაც
შეეხება სხვა ერებს ვიცით, რომ პოლონეთს ავტო-
ნომია კი არა, სრული დამოუკიდებლობა სწადია!
პოლონეთის ს.-დემოკრატია კი ავტონომიის მომხრეა,
და ავტონომია ხომ პირველი ნაბიჯია ფედერაციისა-
კენ. მაშ აბსოლუტიზმთან საბრძოლველად პოლონეთი
დიდს ძალას წარმოადგენს; ფინლანდიამ გუშინ დაჰ-
კარგა თავისი ავტონომია და, რასაკვირველია, მო-
მხრე იქმნება ამ ავტონომიისა; უკრაინაში (მცირე
რუსეთში) ძალიან გავრცელებულია იდეა ავტონომიი-
სა; არც სომხები და კავკასიის სხვა ერნი იტყვიან
უარს ამაზე. რაც შეეხება თვით რუსეთს, რუსეთში
უმძლავრეს პარტიის წარმომადგენელი ორგანო «ოს-
ვობოჟდენიე» ამ კითხვის გამო ყოყმანობს; სოცია-
ლისტ-რევოლუციონერები აშკარა ფედერალისტები
არიან; ვინღა დარჩა ჩვენთა მოწინააღმდეგეთა ბა-
ნაკში? — რუსეთის ს.-დემოკრატია, რუს-ნაციონა-
ლისტები და რუსეთის მთავრობა თავისის მხედრო-
ბით. სოციალ-დემოკრატიის შესახებ რა მოგახსენოთ,
და უკანასკნელნი კი საშიშ ძალას წარმოადგენენ.
მაგრამ უძლეველი არა არის რა.

ამრიგად ამ იდეის განსახორციელებლად საჭირო
მატერიალური ძალები თუ სავსებით არ არიან გან-
ვითარებულნი, ჩასახულები მაინც არიან; დრო და
პროპაგანდა საქმეს დაამთავრებენ.

ვერმიცანიძე.

(1) Указаніе же нами лишний разъ, что обезпеченіе націо-
нальной културы не противорѣчитъ интересамъ всего проле-
таріата Россіи, совершенно застрахуетъ рабочихъ отъ вліянія
такихъ элементовъ. ე. ი. როგორც ორგანო „საქართველო-
ავე". Русовъ. Протоколы 2-го съѣзда, стр. 171.

## ქართულ ცხოვრების მატიანე

*** ქუთაისის უკვე დახურულ სასულიერო სემინარიის
მოწაფენი ასე გაანაწილეს სხვა და სხვა სემინარიებში: 60
კაცს ნება მისცეს ტფილისის სასულიერო სემინარიაში შე-
ვიდნენ, ხოლო დანარჩენნი უნდა წავიდნენ რუსეთის სემი-

ნარიებში: სტავროპოლისა, სიმფეროპოლისა, ოდესისა, კიევისა და სხვ. თუმცა შესაძლებელი იყო ყველანი ტფილისის სემინარიაში მიეღოთ, მაგრამ სასულიერო მთავრობამ ამ მოწაფეთა გარუსებისათვის უფრო მოხერხებულად დაინახა — ყველანი რუსეთში გაესტუმრებინა. გარდა ამისა, ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის ჰავას დასჯილ მოწაფეთა ნორჩი აგებულება ძნელად აიტანს და, თუ ყველანი არა, ნახევარი მაინც დაიხოცება ამ სუსხ ჰავასთან ბრძოლაში. ამას დაუმატეთ მათის მშობლების ხელმოკლეობაც და თვალწინ წარმოგიდგებათ მთელი ხორციელი და სულიერი ტანჯვა ჩვენის მოზარდ თაობისა! რუსის მთავრობასაც ხომ ეგ უნდა!..

⁂ ქუთაისიდან ზოგიერთებს ადმინისტრატიულის წესით უპირებენ გადასახლებას. ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. მთავრობა დამატებით საბუთებს (?) ეძებს, რომ მერე დაურიდებლად აჰყაროს შეგნებული წევრნი საზოგადოებისა.

⁂ გაიძვერა ვოსტორგოვის მეცადინეობით სამსახურიდან დაითხოვეს ქუთაისის საეპარქიო სასწავლებლის (ქალთა) გამგე ქ-ნი ნინო თავდგირიძისა, ყველასაგან პატივცემული მანდილოსანი, რომელიც აგრეთის ცოდნით და საქმის უზომო სიყვარულით უძღვებოდა მისდამო რწმუნებულ სასწავლებელს. მიზეზი დათხოვნისა ვითომ ის იყო, რომ ქ-ნ თავდგირიძისამ არაფერი არ იღონა, რომ ხსენებულ საეპარქიო სასწავლებელში აჯანყება აეცილებინაო (წარსულ თებერვლის თვეში). მისის დათხოვნის ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ ქ-ნი თავდგირიძისა ქართველი იყო. ვოსტორგოვს და მის დამქაშებს ვერ მოუნელებიათ, რომ ზოგიერთ სასწავლებელთა გამგეებად საქართველოში დღემდე ქართველები არიან. თორემ მიზეზი მოწაფეთა აჯანყება რომ ყოფილიყო, რატომ არ დაითხოვეს ქუთაისის სემინარიის, გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის რექტორ-დირექტორები? აჯანყება ხომ ამ სასწავლებლებიდან დაიწყო!.. და თუ ესენი არ დაითხოვეს, ეს იმიტომ, რომ ყველანი რუსები იყვნენ. ქ-ნ თადგირიძისას ბედივე მოელის თურმე საეპარქიო სასწავლებლის მასწავლებელ ქალებსაც (ქართველებს). იმათ მაგიერ სულ რუსი მასწავლებელი-ქალები უნდა ჩააყენონ.

⁂ სოხუმში მთელი საზოგადოება აღაშფოთა ადგილობრივ ოლქის უფროსის პოდპოლკოვნიკ პროგულბიცკის თავგასულმა საზიზღარ საქციელმა. სოხუმის ოლქიდამ რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასასახლებლად წარუდგინა თავქმეიფა და ჯალათ გოლიცინს რვა კაცი: ანთიმოზ ჯუღელი, თ. სახოკია, აკაკი ჩხენკელი, ივანე ბურჭულაძე (მეაფთიაქე), სპირიდონ ნარაკიძე, ფარნა დავითაია, ივანე გეგია და კანდელაკი (ოქუმის მეაფთიაქე). ესენი გადასახლებულნი არიან 1897 წელს გამოცემულ ბარბაროსულ კანონის ძალით, როგორც საზოგადო წესიერებისა (?) და მშვიდობიანობისათვის მავნე პირნი. სოხუმელ ჯალათს პროგულბიცკის ამ საზიზღარ საქმეში ეხმარებოდნენ: სულით და ხორცით საპყარი სოხუმის ეპისკოპოსი არსენა, სოხუმის ქალაქის თავი უჯამაგირო ჯაშუში ტომარა (გვარია), ოჩამჩირის ჯაშუში-მასწავლებელი ბორის ხორავა. ოჩამჩირის მცხოვრებ თეიმურაზ ჩაჩავას სახელოვანი თანამემცხედრე მარიამ ჩაჩავასი და ჯაშუშთა მთავარი მღვდელი იოანე კავყარაძე. სოხუმში ხმა დადის, რომ სოხუმის ოლქიდან 28 კაცი კიდევ უნდა გადაასახლონ. გადასახლებულთა სიაში მოყოლა მეტად ადვილია. საკმარისია წერა-კითხვა იცოდეთ და ერთ-ერთი ზემოდ დასახელებული ჯაშუშთაგანი ცოტაც არის ალმაცერად გიყურებდესთ, რომ მაშინათვე „საშიშ“ კაცად მოგნათლონ და რუსეთისაკენ გაქნევინონ პირი. ზემოხსენებულ რვა კაცთაგანი, გარდა თ. სახოკიასი, რომელიც ადრევე წამოვიდა საზვარგარედ, უკვე წავიდნენ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში. ორის გარდა ყველანი ცოლშვილიანები არიან.

⁂ ბ-ნ ქართველიშვილს მთავრობისათვის უთხოვნია ნებართვა ახალ ქართულ ჟურნალ „ხელოვნებათა მოამბის“ გამოცემისათვის, მაგრამ უარი მიუღია.

ექიმ ღამბაშიძესაც უარი უთხრეს „საექიმო მოამბის“ გამოცემის ნება-რთვის მიცემაზე.

ცივი უარივე მოუვიდა ქ-ნ ქობულაშვილისას, რომელსაც ჰსურდა საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა.

რა თქმა უნდა, ამ უარის თქმას თავისი საფუძველი აქვს; ჟურნალები ქართულ ენაზე იქმნებოდნენ და მთარობა კი ქართულ ენას სისტემატიურად სდევნის. მისის მხრივ დიდი სიტუტუცე (და ჩვენთვის — სასწაული) იქმნებოდა, რომ ნება მიეცა და მით ჩვენი გაზეთების რიცხვი გაემრავლებინა. გუშინ არ იყო, რომ „კვალი“ და „ჯეჯილი“ მოგვისპეს?!.. რით ვერ შევიგნეთ, რომ ჩვენს უფლებებს მხოლოდ მედგარის ბრძოლით მოვიპოვებთ! საჭიროა მ ო თ ხ ო ვ ნ ა და არა ლაჩრული ხვეწნა!..

⁂ ხალხის გამოღვიძების შიშით მთავრობას უბრძანებია, რომ ქართულ გაზეთებში ომის შესახებ დასაბეჭდი წერილები, ჯერ უნდა გადითარგმნოს რუსულად, წარედგინოს ამისთვის საგანგებოდ დანიშნულ სამხედრო ცენზორს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაბეჭდონ გაზეთში. ამ ცერბერს კი, რა თქმა უნდა, რასაც ქართულის ენის ცენზორი თეთრად აღიარებს, შავად მიაჩნია და უკრძალავს დაბეჭდვას.

⁂ ბ. გაჩეჩილაძის მიერ გამოცემულ სახალხო კალენდრის გაყიდვა საქართველოს წვერცამეტა ეგზარხოსის მოთხოვნით აღუკრძალავსთ! შიგ იყო დაბეჭდილი ორიოდე გვერდი ჩარლზ დარვინის თეორიაზე. ამ პატიოსან მღვდელთ-მთავარს ალბად უფიქრია: „დარვინის თეორია რომ იკითხოს ხალხმა, მაშინ ხომ ჩვენს ჯადოქრობას (მასზე, რომ ღმერთმა ქვეყანა შვიდს დღეში გააჩინა) მაზანდა დაეკარგება და ჩვენს გაუმაძღარ ბილწ მუცლებს ვინღა დააოკებსო“.

⁂ ლანჩხუთის პირველ-დაწყებითი სკოლიდან მოწაფეები გამორიცხეს და თვით სკოლაც დახურეს. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ერთმა მოწაფეთაგანმა ნიკოლოზ II-ის სურათი დახია, რადგან ჟანდარმები მისს მამას სდევნიდნენ. როდის იქნება, დიდებმაც მიბაძონ ამ ნორჩ პროტესტანტს!

⁂ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა დიდი ხანია სთხოვს მთავრობას, დამატებითის კლასების გახსნის ნება მისცემოდა ამ სკოლას, მაგრამ დღემდე პასუხი არ მოსდიოდა. ამ ბოლო დროს. თ.-აზნაურთა მარშალი იყო სათხოვნელად ბატონ ზავადსკისთან (კავ. სამომოსწ. ოლქ. მზრუნველი), რომელმაც ცივი უარი უთხრა ჩვენს თავადს.

⁂ თიანეთის ბოქაულ ლეონტიევს, დიდს გაიძვერასა და მექრთამეს, შეუპყრია ფერშალი ბ. ჩიბალაშვილი და ყაზახებისა და ჟანდარმების ხელით მხეცურად უცემია მისთვის, რადგან ჩიბალაშვილს არ მოუსურვებია დასახელება, თუ ვისგან მიეღო აღკრძალული ლიტერატურა. ეს ბარბაროსობა იქამდის გაგრძელებულა, სანამ მთლად დასისხლიანებული მსხვერპლი გრძნობას დაჰკარგავდა.

## პოლონეთი

პოლონეთში მობილიზაციას მოელოდნენ. ამის გამო პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ პროკლამაცია გამოსცა. პროკლამაციაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: « იაპონელები ჩვენი მტრები არ არიან; ისინი ებრძვიან რუსეთის მთავრობას და არა ჩვენ. იაპონელები არიან მტრები ჩვენის საერთო მტრისა — მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიის დაპყრობის ჟინით აღტყინებულ ცარიზმისა. სწორედ ამიტომ ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ იაპონელებს გამარჯვებას და ცარიზმის მცირედი დამარცხებაც კი სიხარულით გვაფრთოვანებს. ვინც იაპონელებს ებრძვის, ის ესარჩლება რუსთა ხელმწიფეს, ის ამაგრებს ამ ხელმწიფის ხალხთა დამჩაგვრელს ძალას ».

რეზერვისტებს პროკლამაცია ასე მიმართავს: « სათადარიგო ჯარში ჩარიცხულნო ამხანაგნო! დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ თქვენ კაცნი ხართ და არა მონანი, რომელთა სვე-ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ მათდა დაუკითხავად. დადგა დიდმნიშვნელოვანი ჟამი. რუსეთის მთავრობა, დამარცხებით შესუსტებული, გაჭირვებულ მდგომარეობაშია. მშრომელ ხალხის სახელი, წარმატება ჩვენის წმინდა სარევოლუციო საქმისა გავალებსთ თქვენ არ აღასრულოთ მთავრობის ბრძანება. ამით ვითომ რას დაკარგავთ? რა მოგელისთ ხელმწიფის ჯარებში? სიკვდილი ან დასახიჩრება იაპონელებისაგან, შიმშილი, გაჭირვება, აუტანელი ჯაფა და ავადმყოფობანი. თვით ამაზე უარესი მოგელისთ — ეს არის სირცხვილი და სინიდისის ქენჯნა, რომ თქვენ ყურ-მოჭრილ მონებივით ემსახურებით თქვენს მოსისხლე მტერს, სწირავთ თქვენს სიცოცხლეს ბიწიერ და უკუღმართ საქმისათვის. არა, თქვენ ამას არ იზამთ! ვისაც შეუძლია, ნუ გამოცხადდება ომში წასასვლელად, წინდაწინვე დააღწიოს თავი სამხედრო სამსახურს, აიცდინოს ეს აუტანელი უღელი! ხოლო ვინც ვერ შესძლებს ასე მოქცევას, თავის ნებით მაინც ნუ მიემურება ჯარში პირველსავე დაძახილზე. გაუწიეთ წინააღმდეგობა და მხოლოდ შეიარაღებულ ძალას დაემორჩილეთ. მხნედ და მედგრად შეებრძოლეთ ძალ-მომრეობას და აშკარად გამოუცხადეთ ჯალათებს თქვენი სიძულვილი და ზიზღი.

« ჯარში წამსვლელებთან ერთად სხვებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა მანიფესტაციებში. მობილიზაციის დროს ჩვენ, ამხანაგნო, სუყველამ ერთად, განურჩევლად სქესისა უნდა გამოვამჟღავნოთ ჩვენი გრძნობანი. შარა-გზებზე, სასოფლო სასამართლოებში, ქალაქების და დაბების ქუჩებზე, რკინის გზის სადგურებზე, ერთის სიტყვით ყოველგან, სადაც კი შესაძლებელი იქნება, უნდა თავი მოიყარონ მანიფესტანტებმა, აღმართონ წითელი დროშა და შემოსძახონ სარევოლუციო სიმღერები, — დეე ჩვენი გამამხნევებელნი დევიზნი — « მირს თვით-მპყრობელობა »! « მირს შემოსეულნი »! « გაუმარჯოს სოციალიზმს »! « გაუმარჯოს დამოუკიდებელ სოციალისტურ პოლონეთს და ლიტვას »! — მედგრად მოედოს მთელს პოლონეთს კიდით კიდე!

« ის ჯარის-კაცები კი, რომელთაც ძალით გარეკენ ომში, ნუ დაივიწყებენ ამ ჩვენის ბრძოლის კიჟინას! იცოდნენ, რომ თვით სამსახურის აღსრულების დროსაც უნდა ეცადონ ავნონ ყოველნაირად ცარიზმს. ამხანაგებო, თქვენი მოვალეობაა გაავრცელოთ ჯარში სარევოლუციო აზრები და დასთესოთ გრძნობა უკმაყოფილებისა. თქვენივე მოვალეობაა პირველსავე მოხერხებულ შემთხვევით ისარგებლოთ, რომ დასტოვოთ რუსთა რაზმები და გაემუროთ იაპონელებისაკენ »!

ამგვარმა აგიტაციამ უკვე თავისი ნაყოფი მოიტანა. ახალგაზდობა რუსეთიდან სამზღვარგარედ ილტვის. სუვალკის გუბერნიიდან იმ ახალგაზდათაგან, რომელთაც წლეულს უნდა ამოეღოთ კენჭი, ნახევარზე მეტმა ამერიკაში ამოჰყო თავი. კრაკოვი გაიმსო დეზერტირებით. კრაკოველი პოლონელები თავიანთ მოძმეთ დიდს დახმარებას უწევენ.

ომის წინააღმდეგ მანიფესტაციებიც გახშირდნენ. თუ რა ხასიათისაა ეს მანიფესტაციები, შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს: ლუბლინის თეატრში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მოისურვა პატრიოტულ გასართობის გამართვა. აჩვენებდნენ ხალხს რუს-იაპონიის ომის კინემატოგრაფულ სურათებს. როცა იალუზე მომხდარ შეტაკებაზე მიდგა ჯერი, თეატრში მყოფმა მუშებმა ერთბაშადა შესძახეს: « გაუმარჯოთ იაპონელებს! გაუმარჯოს იაპონიას »! რასაკვირველია, « პატრიოტული » გასართობი შესწყვიტეს და დამსწრენი გარედ გამორეკეს. ხშირია შეტაკება პოლიციას და მუშათა შორის სხვა და სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით ვარშავაში. პოლონეთი ღელავს და მზათაა დიადის წუთისათვის, მხოლოდ სხვებს უცდის.

## უკიდურეს ნაციონალიზმის ნიმუშები

(სრულიად რუსეთის ს.-დ. კონგრესის ოქმებიდან).

(დასასრული *)

როგორც მოგეხსენებათ, რ. ს.-დ. პროგრამაში ნაციონალურ კითხვას სამი მუხლი აქვს დათმობილი: ა) მუხ. მე-3. საოლქო თვითმმართველობა; ბ) მუხ. მე-8. ენათა თანასწორუფლებიანობა და გ) მუხლი მე-9. ერთა თვითგამორკვევა.

იმას, რაც პირველ ორ მუხლის გამო ითქვა „საქართველოში", განსამარტებლად და შესავსებად დავუმატებთ ბუნდის დელეგაციის ანგარიშის იმ ადგილებს, რომელნიც სწორედ ამ მუხლებს ეხებიან.

ანგარიშის მე-27 გვ. ვკითხულობთ: „საოლქო თვითმმართველობის შესახებ პუნქტი კომისიაში ბუნდის ერთ დელეგატთაგანმა შეიტანა. პლეხანოვი და ლენინი ამ პუნქტის წინააღმდეგ ამხედრდნენ, მხოლოდ კავკასიის დელეგატთა დახმარებით შევიძელით ამ პუნქტის დაცვა (1).

როგორც ხედავთ, სრულიად რუსეთის ს.-დ. ლიდერნი დამონებულ ერთა საოლქო თვითმმართველობასაც კი არ ანიჭებდნენ.

რაც შეეხება ენათა თანასწორუფლებიანობას, ბუნდის დელეგაცია ამ კითხვის ისტორიას კონგრესზე მოგვითხრობს ისე, როგორც ჩვენ გვქონდა აღნიშნული „საქართველოს" მე-12 ნომერში, და როცა მოიხსენიებს იმას, თუ რანაირად უარჰყო კონგრესის უმრავლესობამ მთელი ის მუხლი, რომელშიაც მოთავსებული იყო ბ. კოსტროვის დამატება ენათა თანასწორფლებიანობის შესახებ, დასძენს: „გვჭვს გარეშეა, რომ გამარჯვებული ნაწილი კონგრესისა არსებითად წინააღმდეგი იყო ენათა თანასწორუფლებიანობისა; ამის დამამტკიცებელ საუკეთესო საბუთად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ გამარჯვებულ ნაწილს თავის მხრივ არც ერთი წინადადება არ შეუტანია ამ კითხვის გამო; იგი მხოლოდ მორიდან უყურებდა, თუ როგორ ცდილობდა მეორე მხარე უკეთესად გამოეთქვა თავისი აზრი და გადადიოდა ერთ ფორმულიდან მეორეზე" (2).

როგორც უკვე მოგეხსენებათ, ბოლოს გადასწყვიტეს ეს მთელი მუხლი კომისიას ჩააბარონ შესამუშავებლად. ორის დღის შემდეგ კომისიამ წარუდგინა კრებას თავისი ახალი რეზოლუცია ამ კითხვის გადასაწყვეტად. ეს რეზოლუცია მიღებულ იქმნა. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ ბუნდის დელეგაციის ანგარიშში: „როცა შეუდგნენ ამ რეზოლუციის ყოველმხრივს გარჩევას, შიგ შეტანილ იქმნა ბევრი მის გამამტკიცებელი შესწორებანი.

ამ შესწორებათ ტამის ცემით ეგებებოდნენ.

ის დელეგატები, რომლებიც მანამდე ისე სასტიკად ილაშქრებდნენ ენათა თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ, ახლა მეტად მორბილდნენ და გათავაზიანდნენ, თავიანთის მეთაურების წახედულობით ყველაფერზე თანხმდებოდნენ" (3). რამ გამოიწვია ნეტა ეს ცვლილება? ამაზედ დელეგაცია შემდეგს პასუხს გვაძლევს: „ბევრი ფიცი და მტკიცება არც კი უნდა მას, რომ ენათა თანასწორუფლებიანობის მოწინააღმდეგებმა იმიტომ კი არ დასთმეს, რომ ვითომდა დარწმუნებულიყვნენ თავიანთ მოპირდაპირეთა სიმართლეში; არამედ დაუთმეს მოპირდაპირეთ თავიანთის რწმენის წინააღმდეგ, უბრალო პოლიტიკურ მოსაზრების გამო: საზოგადოდ, საჭირო იყო დაებრუნებინათ კონგრესის

(1) 2-й съѣздъ Р. С. Д. Р. П. отчетъ Бунда. Стр. 27. Примѣчаніе.

(2) ibid გვ. 29.

(3) Отчетъ делегаціи, стр. 30.

*) იხ. „საქართველო" № 11 — 12.

ერთის ნაწილის ნდობა მეთაურთა მიმართ და პერძოდ დაე-
მოშმინებინათ კავკასიელნი " (1).
როგორც ხედავთ, არც საოლქო თვითმმართველობა, არც
ენათა თანასწორუფლებიანობა შეუტანიათ რუსეთის სოც.-
დემოკრატებს თავიანთ პროგრამაში გულწრფელად. შეიტა-
ნეს იმიტომ კი არა, ვითომდა პრინციპიალურად მომხრენი
ყოფილიყვნენ მათის შეტანისა, არამედ იმიტომ, რომ შეე-
შინდათ არ გაეჯავრებინათ განაპირა ქვეყნების წარმომადგე-
ნელნი და რომ მათ კონგრესი და თვით პარტიაც არ დაეტო-
ვებინ .თ. მაშასადამე მათი ნაციონალური პროგრამა პრინცი-
პიალური კი არ არის, არამედ ნამდვილი ოპორტუნისტურია.
ქარის მოტანილს — ქარივე წაიღებსო, ამბობს ანდაზა; თუ
ხვალ პირობები შეიცვალა, თუ სხვა დარი დაუდგა საოლქო
თვითმმართველობისა და ენათა თანასწორუფლებიანობის
მოწინააღმდეგეთ, მაშინ ნაციონალური პროგრამაც უარყო-
ფილ იქმნება.

ქართველ ს.-დემოკრატებს რომ ჰკითხოთ, მათს გარდა
არავის გადაუწყვეტია ნაციონალური კითხვა რადიკალურად.
თუ არ გჯერათ, ყური დაუგდეთ „ქართველ ნაციონალის-
ტების" ავტორ ბ-ნ ა'ს, მათის ნაც. პროგრამის განმარტე-
ბელს: „კრება (ს.-დემ. მე-2 კონგრ.) ამას (ე. ი. საოლქო
თვითმ.) კიდევ არ დაკმაყოფილდა. მან შეიტანა თავის
პროგრამაში სამშობლო ენის გარანტია ყოველნაირ დაწესე-
ბულებაში და სწავლა-განათლებაში (იხ. § 8). მაგრამ ის არც
აქ გაჩერდა, ნაციონალურ კითხვაში ისეთი რადიკალობა გა-
მოიჩინა, რომ „საქართველოს" არცკი მოსიზმრებია. კრე-
ბამ იფიქრა, შეიძლება რომელიმე ერი არ დაკმაყოფილდეს
მესამე და მერვე მუხლით და მოინდომოს თვითონ გადას-
წყვიტოს თავისი ბედ-იღბალი და აი ის ამის უფლებას აძ-
ლევს მე-9 მუხლით, რაც „საქართველოს" ვერ გაუგია და
ხერხს უწოდებს" (2).

თუ რა ჯურისაა მათი „საოლქო" თვითმმართველობა
და „ენის გარანტია" (ასე უწოდებს ენათ თანასწორუფლე-
ბიანობას ბ-ნი ა.), ეს უკვე დავინახეთ. ახლა ვნახოთ. თუ
რას ნიშნავს ეს მათი ერთა „თვითგამორკვევა" (самоопре-
дѣленіе). როგორც კონგრესის ოქმებიდან სჩანს, ეს იმას
ნიშნავს, რომ თუ რომელმამე ერმა მოინდომა განცალკევება,
რუსეთის „სოც. დემ." ამის წინააღმდეგი არ იქნება (მკი-
თხველო, არ გაგეცინოსთ!). ბ-ნი ა. კი უფრო „ვრცლად"
განმარტავს ამ მუხლს: ის ანიჭებს ერებს უფლებას თვი-
თონვე გადასწყვიტონ თავიანთი ბედ-იღბალი! აი ორი კომენ-
ტარი.

შევჩერდეთ ჯერ ბ-ნ ა.'ს განმარტებაზე. რა არის ნეტავი
ეს ბუნდოვანი „ბედ-იღბლის გადაწყვეტა"? ვისაც რა უნდა
სომ იმას ჩასჩრის ამ „ბედ-იღბალში"? და სწორედ ამიტომაც
იხმარა ეს ტერმინი ბ-ნ ა.'მ. ამით უნდოდა ეთქვა: „თქვენ
როგორც გინდოდესთ, ისე გაიგეთ ეს „ბედ-იღბალი", ოღონდ
დამიჯერეთ, რომ რუსეთის ს.-დემოკრატია დაჩაგრულ
ერთა მომხრეა და თქვენც იმას მიემხრეთო". ფიცი ვწამს,
ბ-ნო ა.'ვ, მაგრამ ბოლო მაკვირვებს. ჩვენი გაკვირვება
ორკეცდება, როცა თვით კონგრესის განმარტებაზე გავჩერ-
დებით. ერთის მხრივ ლაპარაკობენ, ჩვენ არა გვექნება რა
საწინააღმდეგო იმაზე, თუ რომელიმე ერი განცალკევებას
მოინდომებსო, მეორეს მხრივ კი დამონებულ ერთ, საოლ-
ქო თვითმმართველობას და ენათა თანასწორუფლებიანო-
ბას აწვდიან. რა არის ეს? მგონი ამით უნდოდათ ეთქვათ:
„არ შეიძლება ერთის ფორმულით გადაიჭრას რუსეთში ნა-
ციონალური კითხვა; საჭიროა კონკრეტიზაცია სხვა და სხვა
ერებისათვის. როცა ერთის ერის პროლეტარიატისათვის
სასარგებლო იქმნება მისის ერის განცალკევება, მაშინ მეო-
რე ერის პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს მხო-
ლოდ ადგილობრივ თვითმმართველობასო". — კარგი და პა-
ტიოსანი. თუ მაგრეა, მაშინ თქვენ დეტალურად უნდა შეგე-
სწავლათ სუყველა ერთა მდგომარეობა და ყველასათვის
ცალ-ცალკე გამოგეტანათ გადაწყვეტილება. მაგალითად, უნ-
და გეთქვათ: პოლონეთს თავისუფლება, საქართველოს კი,
კავკასიასთან ერთად, საოლქო თვითმმართველობა. ეს ლო-
ღიკური და მოსაზრებული მოქმედება იქმნებოდა. და თუ
ასე არ მოიქცევოდით, მაშინ უნდა დაგეტოვებინათ თქვენს
ნაციონალურ პროგრამაში მხოლოდ მე-9 პუნქტი ე. ი., пра-
во на самоопредѣленіе და ამასთანავე დაგემატებინათ: „ვინც
თვით დამონებულ ერებმა გადასწყვიტონ, თუ რანაირი წეს-
რიგი სჯობია მათთვის; ჩვენ კი მათ ხელს შევუწყობთ".
დანარჩენი მუხლები კი უნდა ამოგეშალათ.

მაგრამ თქვენ, სოციალ-დემოკრატნო, ასე კი არ მოიქე-

(1) ibid გვ. 3.
(2) „ქართველი ნაციონალისტები" გვ. 34 — 35. დაბეჭ-
დილი 1904 წ. ჟენევაში.

ცით; თქვენ დასტოვეთ თქვენს პროგრამაში право на само-
опредѣленіе, იმ განმარტებით, რომ უფლებას ანიჭებთ ერებს
განშორებისას, და ამასთანავე შეიტანეთ სუყველა დამონე-
ბულ ერებისათვის საოლქო თვითმმართველობა. ნუ თუ
ვერ მიხვდით, თუ რა გასაჭირ მდგომარეობაში აყენებდით
განაპირა ქვეყანათა ს.-დემოკრატებს? რა უნდა უქადაგონ
მათ დამონებულ ერთა პროლეტარიატს, ნაციონალურ კით-
ხვის გადასაწყვეტად — სეპარატიზმი თუ საოლქო თვით-
მმართველობა? ბრძანებთ, თუ ერი განცალკევებას მოისურ-
ვებს, ჩვენ წინააღმდეგნი არ ვიქნებითო? ვინაა ერი? განა
პროლეტარიატი ერის ნაწილს არ შეადგენს? განა ამ სურვი-
ლის მემუშავებაში პროლეტარიატს არ უნდა ედვას წილი?
— ბრძოდ თქვენ, ქართველნო ს.-დემოკრატნო, რას უქა-
დაგებთ ქართველ პროლეტარიატს — განცალკევებას თუ
საოლქო თვითმმართველობას?

ვინა ბრმადებით თქვენ დღეს ნაციონალურ კითხვაში —
სეპარატისტები, თუ მომხრენი ერთ და განუყოფელ რუსე-
თისა, საოლქო თვითმმართველობით დამონებულ ერთა-
თვის? გამლევთ ამ კითხვას და პასუხს მოველით. მხოლოდ
ამის შემდეგ შეიძლება საგსებით გაირჩეს თქვენი ნაციონა-
ლური პროგრამა.

აგრეთვე გაგვაგებინეთ, თუ რას მოასწავებს თქვენი „об-
ластное самоуправленіе" (საოლქო თვითმმართველობა)? წა-
ვიკითხეთ ბ-ნ ა.'ს განმარტება, მაგრამ ამან სრულიად ვერ
დაგვაკმაყოფილა. ბ-ნი ა. აძლევს თავის თავს დიდ მნიშვ-
ნელოვან კითხვას — აბა რა არის საოლქო თვითმმართვე-
ლობაო და ამის განსამარტებლად მიმართავს ხოლმე მეო-
რე კონგრესის ოქმებს და იქ კი გვითითებს ბ. მარტოვის
სიტყვებზე. ბ. მარტოვი კი მხოლოდ იმას ამბობს, რომ გა-
ნაპირა ქვეყნებისთვის, როგორც პოლონეთი, კავკასია და
ფინლანდიაა, საჭიროა „Областное самоуправленіе"-ო (1).
გამოდის, რომ „областное самоуправленіе есть областное
самоуправленіе" (საოლქო თვითმმართველობა არის საოლ-
ქო თვითმმართველობა). მგონი ამგვარი განმარტება მეტის
მეტად მეცნიერულია და იმიტომ ვერ გავიგეთ ჩვენ და ამა-
სთანავე ვერ დაგვაკმაყოფილა. მაგრამ ბ-ნი ა. არ სჯერდება
ამ „ნათელ" განმარტებას, და რომ უკეთესად აგვიხსნას,
თუ რა არის „областное самоуправленіе", მოჰყავს მეორე
ორატორის ბ. რუსოვის სიტყვები. მაგრამ საუბედუროდ ბ.
რუსოვი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ დიდი მომხრეა სა-
ოლქო თვითმმართველობისა, ერთი იმიტომ რომ, ეს მეტის
მეტად საჭიროა განაპირა ქვეყნებისათვის; მეორე — იმი-
ტომ, რომ ამით „სიტყვას ვუჭრით იმ ნაციონალისტებს,
რომელნიც ფიქრობენ, განაპირა ქვეყნების კითხვა მხოლოდ
მათის პოლიტიკურ განცალკევებით უნდა გადაიჭრასო" (2)
(სხვათა შორის, აქ ნათლად სჩანს, რომ ბ. რუსოვი, ერთი
კავკასიელ დელეგატთაგანი, ანტისეპარატისტია). და მესამედ
იმიტომ, რომ ეს დაგვჭირდება „საქართველოსებურ" ნა-
ციონალისტურ ორგანიზაციებთან საბრძოლველადაო".

როგორც ხედავთ, აქ პატივცემულ დელეგატს მოჰყავს
მხოლოდ ის მოსაზრებანი, თუ რისთვისაა საჭირო „област-
ное самоуправленіе" და სრულიადაც არ შედის იმის გამო-
კვლევაში, თუ რაში მდგომარეობს კონკრეტული იურიდიუ-
ლი შინაარსი ამ საოლქო თვითმმართველობისა. მაშ ეს გან-
მარტებაც პირველის განმარტების ზნისაა, ე. ი. საოლქო
თვითმმართველობა — საოლქო თვითმმართველობაა! მხო-
ლოდ უკანასკნელ საბუთს თუ მივხედავთ, ეჭვი გვებადება,
მგონი ბ. რუსოვს „областное самоуправленіе" და „საქართ-
ველოს" მიერ წამოყენებული ავტონომია (ე. ი., სრული
დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში) ერთი და იგივე ჰგონია.
მაშ აქაც, მათის ნაციონალურ პროგრამის უმნიშვნე-
ლოვანეს პუნქტშიაც, სუფევს სიბნელე და გაუგებრობა-
ბა. აქაც გაძლევთ კითხვას: რას ნიშნავს თქვენი „област-
ное самоуправленіе". არის ეს „საქართველოსებური" ნა-
ციონალური ავტონომია, თუ ავსტრიასებური პროვინცია-
ლური (და არა ნაციონალური) ლანდტაგი? ველით პასუხს
და მაშინ უფრო ადვილი იქმნება თქვენის პროგრამის გარ-
ჩევა.

„საქართველოს" მე-11 ნომერში დავიწყეთ ეს წერილი.
იქ როცა შევეხეთ ოქმების იმ ადგილს, სადაც მოყვანილია
კამათი „საოლქო თვითმმართველობით" გამოწვეული, ბ.
ლენინის მესახებ ვსთქვით, რომ ის საზღვრისთვის ერთია-
ნობის დამცველი გამოვიდა. ამის გამო ბ-ნი ა. თავის წიგ-
ნაკში (ქართ. ნაც.) გვიკიჟინებს, თქვენ აქ ჭორიკანობთ
და ლენინს ცილსა სწამებთო; აი ლენინის აზრი საოლქო

(1) „ქართველი ნაციონალისტები", გვ. 32.
(2) „ქართ. ნაც.", გვ. 33.

თვითმმართველობის შესახებ როგორაა მოყვანილი ოქმებშიო: „ლენინი წინააღმდეგია სიტყვის „საოლქო", რადგანაც შეიძლება ეს ასე განმარტონ, ვითომ ს.-დემოკრატია თხოულობდეს მთელის სახელმწიფოს წვრილ-წვრილ ოლქებად (на мелкія) დაყოფას (ქართ. ნაც. გვ. 55) (1). რას უნდა ნიშნავდეს ეს мелкія области? ჩვენ გვგონია, რომ ამ სიტყვებით ბ. ლენინს უნდა აღენიშნა განაპირა ქვეყნები (და თუ мекія области'ს ამ ნიშვნელობას არ მივცემთ, ლენინის მთელი სიტყვა აზრს მოკლებულია), სწორედ ამიტომაც იყო რომ ვსთქვით, რომ ლენინი არ არის მომხრე იმისი, რომსახელმწიფოს განაპირა ქვეყნები ჩამოეცალნენ და ცენტრალისტურ სახელმწიფოს ერთიანობისა და განუყოფელობის დამცველად გამოვიდა.

მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ თვით ბ-ნი ა.'ს როგორ ესმის ეს мелкія области? ამისთვის გადავშალოთ მისის წიგნაკის მე-34 გვერდი. აქ ბ-ნი ა. областное самоуправленіе'ზე ლაპარაკობს და სიტყვა область'ს ასე განმარტავს: „სიტყვა „ობლასტნოე" ჩართულია მხოლოდ იმიტომ, რომ ამით განისაზღვროს განაპირა კუთხეები, რომლებიც რუსეთის ო ბ ლ ა ს ტ ე ბ ს (კურსივი ჩვენია) შეადგენენ, ცენტროსაგან". როგორც ხედავთ სწორედ ამგვარად განმარტებულ областное самоуправленіе'ს წინააღმდეგ ამხედრდა ბ. ლენინი. თუ, ბ-ნო ა.'ვ область, როგორც თქვენ ეს ნათლად განმარტეთ, განაპირა ქვეყნებსა ნიშნავს, რას უნდა მოასწავებდეს ბ. ლენინის სიტყვები, თუ არა იმას, რომ ბ. ლენინი წინააღმდეგია, რომ რუსეთის სახელმწიფოს განაპირა ქვეყნები ჩამოშორდნენ? ასე, ბ-ნო ა.'ვ, თქვენ თქვენისავე ხელით გაიწვეპლეთ თქვენი თავი და თქვენისავე ხელით დაასვით ნაციონალისტის ბეჭედი ბ. ლენინს, რადგანაც თქვენის წიგნაკის მე-54 გვერდზე იმას, ვინც რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობის დამცველია, ნაციონალისტის სახელი უწოდეთ.

მაგრამ ბ. ლენინის გასამართლებლად ბ-ნ ა.'ს კიდევ ერთი არგუმენტი მოჰყავს: „რომ ლენინი სახელმწიფოს ერთიანობის დამცველი არ არის, იქიდან სჩანს, რომ ის მომხრეა „ერთა თვითგამორკვევისა" ე. ი. უფლებას აძლევს რუსეთში მყოფ ერთ — ჰსურთ მოსცილდნენ რუსეთს — ჰსურთ დარჩნენ" (2).

აი სწორედ აქა მარხია ძაღლის თავი; როგორც ჩვენ დავინახეთ, ბ-ნ ა.'ს დახმარებით, ბ. ლენინი მომხრეა ერთისა და განუყოფელ რუსეთისა და ამასთანავე მომხრეა ერთა თვითგამორკვევისა, ე. ი. დამონებულ ერთ არ უშლის, თუ ჰსურთ, ჩამოშორდნენ რუსეთს. აქ ხომ წინააღმდეგობაა. როგორ შევათანხმოთ ეს წინააღმდეგობა? სწორედ ეს წინააღმდეგობაა უტყუარი საბუთი იმისა, რომ თქვენი „ერთა თვითგამორკვევა" ხერხია, გულუბრყვილო ადამიანთა მოსატყუებლად გამოგონილი.

დიაღ ბ-ნო ა.'ვ კარგად ჩაუკვირდით თქვენს სიტყვებს, მანამ ვისმე ცილის წამებას დააბრალებდეთ, თორემ სხვისთვის გათხრილ ორმოში თქვენვე ჩავარდებით.

ნაციონალურ კითხვის მიმართ სიძულვილმა და შიშმა ერთხელ კიდევ მაშინ იჩინა თავი, როცა მსჯელობდნენ ადგილობრივ და ნაციონალურ ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციების შესახებ. ებრაულ ს.-დ. ორგანიზაციამ „ბუნდმა", თავის თავი გამოაცხადა ებრაულ პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად და ამასთანავე მოითხოვა სრული დამოუკიდებლობა თავის საქმეების მართვაში და ერთგვარი ამხანაგური განწყობილება რუსეთში მყოფ ს.-დ. სხვა ორგანიზაციებთან. ბუნდი მომხრე იყო პარტიულ ორგანიზაციაში ფედერატიულ პრინციპისა. ამისგამო მის წინააღმდეგ ამხედრდა მთელის რუსეთის ს.-დემოკრატია, წარმოიდგინეთ კავკასიელი დელეგატნიც კი! მოძველებულ, უკბილო ბრალდებას ნაციონალისტობაში ხომ დასასრული არა ჰქონდა. ურჩევდნენ დამორჩილებოდა მათს ცენტრალურ კომიტეტს და ჩამოსულიყო რუსეთში მომქმედ კომიტეტების, ან კომიტეტთა კავშირის ხარისხამდე. ბუნდმა, ამ სიცოცხლით სავსე ორგანიზაციამ, ბუნდმა, რომელსაც თავისი ისტორია და ტრადიციები აქვს, რასაკვირველია, არ მოისურვა თვით-მკვლელობა და განშორდა პარტიას.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რანაირად მოქმედობდნენ კავკასიელი დელეგატები.? ესენი დიდის მორიდებით და მოწიწებით ემუდარებოდნენ კონგრესს — დაგვრთეთ ნება ვიქონიოთ კავკასიაში ს.-დ. ორგანიზაციათა „კავშირი"-ო. ხომ იცით, თუ რამდენად განსხვავდება კავკასია თავის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებით, ენით და სხვ. რუსეთისაგანაო! ამიტომ ორგანიზაციებიც უნდა ცოტათი მაინც განირჩეოდნენ შიდარუსეთში მომქმედ ორგანიზაციებისაგანო — „როგორც რუსეთის ს.-დემოკრატიას აქვს დღეს ცენტრალური ორგანო, ისე ჩვენც, ქართველ და სომეხ ს.-დემოკრატებს, გვსურს ვიქონიოთ ჩვენი ცენტრალური ორგანო. მაგვარი ორგანოები უკვე არიან და „კავშირს" ექვემდებარებიანო" (1).

მერე რა უპასუხეს ნეტავი ამაზე ლიდერებმა? აი ბ. ეგოროვმა რანაირად შეუბღვირა კავკასიელებს: „ბუნდის წასვლის შემდეგ ერთმა პატივცემულმა ამხანაგმა მითხრა, რომ ჩვენ დიდმნიშვნელოვანი ქირურგიული ოპერაცია მოვახდინეთო, ჩვენ ამოვჭერით კუ, — მაგრამ აქვე დაუმატა, — საუბედუროდ კუ ისევ განახლდება ხოლმეო. დიაღ, კუ ახლდება ხოლმე, მაგრამ მე არ მეგონა, რომ ასე მალე გვექმნებოდა ჩვენ საქმე ამ განახლებულ კუსთან; თუ თქვენ ჩაუკვირდებით კავკასიელ დელეგატთა არგუმენტაციას, გაიგონებთ იმავ მელოდიებს, რომელთაც გვიმღეროდნენ ხოლმე ბუნდის დელეგატები; სხვანაირი სოციალური პირობები, სხვანაირი ადგილი, სხვა ერი, ენა, საჭიროება ბრძოლისა ნაციონალისტურ მიმართულებათა წინააღმდეგ აი მათი მოტივები. Caveant Consules! თუ კავკასიელი ამხანაგები დღეს ასე თავმდაბლად და წყნარად ლაპარაკობენ, ამის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ თავიანთი ძალ-ღონით და ორგანიზაციით ბუნდთან შედარებით ჯერ ბავშვები არიან. მიეცით დრო, რომ დაიზარდნენ და თქვენს წინაშე დაინახავთ თუ ნამდვილ ბუნდს არა, ბუნდიკოს მაინც. ვიმეორებ, ფრთხილად იყავით, ამხანაგებო. მსურს დავუმატო ფაქტიური შესწორება. აქ ლაპარაკობენ, რომ კავკასიელთა „კავშირის" არსებობა — ფაქტიაო. როგორც წევრი საორგანიზაციო კომიტეტისა მე ვამტკიცებ, რომ კავკასიელ ამხანაგებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, „კავშირის" არ ყოფნა; წინააღმდეგ შემთხვევაში კავკასიელთ მიეცემოდათ ორი ხმა და არა ექვსი" (301).

ასეთი მოლტი გადაჰკრა „ბავშვებს" დინჯმა მამამ. „ბავშვები" კი წუწუნით მართლულობდნენ თავს. ჩვენ სრულიადაც არა ვართ ბუნდიო, თავხედობას კი ნუ დაგვწამებთო, ძალიან გვინდა თქვენ გემორჩილებოდეთ, ოღონდ მოწყალება მოიღეთ — იწამეთ ჩვენი „კავშირი" და მასთან ერთად ჩვენი ორგანოც „ბრძოლაო".

„კავშირი", როგორც იყო, შეწყნარებულ იქმნა ხოლო ორგანო „ბრძოლა" კი მოსპეს. ბევრი ემუდარეს, დაგვიტოვეთო, მაგრამ ვერ შეაბრალეს თავი. მათის მუდარის გამო აი რა მოახსენა მათ ბ. მარტოვმა: „საჭიროა მივენდოს ცენტრალურ კომიტეტს გაარჩიოს არსებითად კავკასიის საქმეები. სამი ორგანიზაციაა იქ, თუ არც ერთი? ჩვენ აქ ვერა გავიგეთ რა კავკასიელ დელეგატთა ნათქვამიდან"! (2) ესეც თქვენი დელეგატები! ისიც ვერ მოეხერხებიათ, რომ კონგრესისათვის ნამდვილი ცნობები გადაეცათ. მართლა თუ ასეთ „მეთაურებისაგან" შესდგება კავკასიის „კავშირი", რასაკვირველია, ის ჯერ მომწიფებული არ არის დამოუკიდებელ არსებობისათვის და ცენტრალურ კომიტეტის სასტიკი ოპეკა ესაჭიროება, თორემ ვინ არის იმის თავდები, რომ „ბავშვები" სისულელეს არ ჩაიდენენ".

მოვიყვანოთ ის ადგილი ოქმებისა, რომელიც ეხება „ბრძოლის" მოსპობას. ეს ის მომენტი იყო კონგრესისა, როცა ცენტრალისტურმა მიმართულებამ თავის უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია. გამმაგებით შეუდგნენ იმ ადგილობრივ ორგანიზაციათა აღმოფხვრას, რომელთა შექმნას ამდენი ძალღონე შეალიეს და რომელნიც მართლა და საუცხოვოდ შეეფერებოდნენ ადგილობრივ პირობებს და მედგნი იყვნენ პარტიის ორგანიულ ზრდისა. ამ ვანდალიზმმა მთანთქა კავკასიელ კავშირის ორგანონიც „ბრძოლა" და „პროლეტარიატი".

კავკასიელი დელეგატი კ ა რ ს კ ი. — გთხოვთ კენჭი უყაროთ ჩემს წინადადებას, რომ ორგანო „ბრძოლა-პროლეტარიატი" მიჩნეულ იქმნას კავკასის ს.-დ. „კავშირის" პარტიულ ორგანოდ.

თავმჯდომარეს არ სურს კენჭი უყაროს ბ. კარსკის წინადადებას და ამას იმით ასაბუთებს, რომ „ბრძოლა-პროლეტარიატის" რედაქცია უკვე გამორიცხულია სიიდანო (3).

---

(1) აქ ბ-ნ ა.'ს არ მოჰყავს სავსებით ოქმების სიტყვები იქ ეს ადგილი ასეა მოყვანილი: „ლენინი წინააღმდეგია სიტყვა „საოლქო"-სი, რადგანაც არ არის ნათელი და შეიძლება"... (დანარჩენი ნაწილი სწორეთაა მოყვანილი). ოქმ. გ. 170. ნეტავი რატომ გამოსტოვა „ჭეშმარიტების" მოყვარულმა ბ-ნ ა.'მ ეს „არ არის ნათელი"? განა იმიტომ, რომ ეს საშიში სიტყვაა? ხომ, ბ-ნო ა.'ვ?

(2) ქართ. ნაც., გვ. 54.

---

(1) Прот. стр. 299 (კოსტროვის სიტყვიდან).

(2) Протоколы, გვ. 308.

(3) Протоколы, გვ. 319.

ასე მოელო ბოლო ადგილობრივ „ბრძოლას" და კავკასიელ „ბავშვებს" კრინტიც არ დაუძრავსთ.

ჩვენ გვესმის უკვე ბ-ნ ა.'ს წრიპინი: „ჩვენი და რუსეთის ორგანიზაციების დამოკიდებულობა ჩვენი საქმეა, ეს შეიცავს ჩვენს შინაურს ურთიერთობას და მარაზე გამვლელ-გამომვლელის საქელი არ გახლავს" (1). ვინა ბრძანდებით თქვენ, საზოგადო მოღვაწენი, თუ თქვენის შინაურ საქმეების მომწესრიგებელნი? რატომ შეიკრიბენით თქვენს კონგრესზე — საზოგადო საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად თუ უბრალო სამასლაათოდ? თუ იმას, რაც თქვენს კონგრესზე მოხდა, მარტო თქვენთვის აქვს მნიშვნელობა და არა საზოგადოებისათვის, რაღას აქვეყნებდით ამ კონგრესის ოქმებს? ის, რაც ერთხელ გამოქვეყნებულია, ხდება საზოგადო კუთვნილებად და სუყველას შეუძლია მის შესახებ მსჯელობა იქონიოს. „მეცნიერნო" სოციალიზმისანო, ნუ თუ ეს ელემენტარული ცნებანიც არ მოგეპოვებათ თქვენს ჭკუის სალაროში?!

## ფინლანდია

ბევრის ცდისა, მოთმინებისა და ხვეწნა-ვედრების შემდეგ ფინლანდია დარწმუნდა, რომ მხოლოდ რევოლუციონურ საშუალებებით შეიძლება დაკარგულ უფლებათა აღდგენა და ახალთა მოპოვება.

დაგუბებულმა გრძნობებმა პირველად გადმოსჩქეფეს 5 ივნისს. ამ დღეს ფინლანდიის ქალაქებში გაიმართა მუშათა ჩვეულებრივი სამაისო მანიფესტაციები. წლეულს ეს მანიფესტაციები ნამდვილ პოლიტიკურ დემონსტრაციათა ხასიათისა იყო. ამ დემონსტრბციების დროს ფინლადიის მუშათა კლასმა აშკარად გამოაცხადა თავისი უკმაყოფილება და გულის წყრომა ფინლანდიაში აწ არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ და თავისის ამგვარის მოქმედებით ნათლად ამცნო ქვეყანას, თუ როგორ უსირცხვილოდ სტყუოდა რუსეთის მთავრობა, როცა საზღვარგარეთის პრესაში ყველას არწმუნებდა, ფინლანდიის ხალხი სრულიად კმაყოფილია რუსეთის მთავრობის მიერ შემოღებულ ზომებითაო.

მოგვყავს რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქმნა ფინლანდიის დედა-ქალაქ გელსინგფორსში, სადაც 8,000 კაცი დაესწრო დემონსტრაციას.

მოქალაქენო!

ხელახლად შევგროვდით ჩვენ მჭიდროდ თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის დროშის ქვეშ. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ მოვაცილოთ ფინლანდიის ხალხს ის შეურაცხყოფა, რომელიც მიაყენეს მას იმ განცხადებით, ვითომ იგი სრულიად დაჰმორჩილებოდეს აწ არსებულ წეს-წყობილებას, რომელიც დამყარებულია ძალმომრეობასა, ცარცვა-გლეჯასა და ჩვენის სახელმწიფო ქონების გაფლანგვაზე.

ამის მთქმელნი ურცხვად სტყუიან! ხალხი სევდითაა მოცული, მიგრამ ამასთანავე მასში სდუღს და იზრდება უკმაყოფილება და ამ უკმაყოფილებას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როცა განჰქრებიან დრონი უკანონობისა და თვითნებობისა.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა უკანონო დადგენილებანი გაუქმებულ იქმნან.

ჩვენ მოვითხოვთ: ა) გაუქმებულ იქმნას ის დიქტატურა, რომელიც მინიჭებული აქვს გენერალ-გუბერნატორს; ბ) დაბრუნებულ იქმნან სამშობლოდან განდევნილი მოქალაქენი და გ) მოწვეულ იქმნას ფინლანდიის სეიმი.

ჩვენ მოვითხოვთ უბრალოდ დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლებას და მოქალაქეთა უფლებების სავსებით აღდგენას.

ჩვენ მოვითხოვთ: უფლება მიეცესთ ფინლანდიის მოქალაქეთ რომ თავისუფლად შეეძლოსთ ასოციაციათა შედგენა და კრებათა გამართვა და ამასთანავე ჩვენ მოვითხოვთ პრესისა და სიტყვის თავისუფლებას.

ძირს თვითნებობა მთავრობის და ჩვენი დამცირება!

ძირს პლევე, ბობრიკოვი (რა მალე აუხდათ ნატვრა!) და მათი იარაღი — ჩვენი ქვემძრომი სენატი!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

ამ დიადმა მანიფესტაციამ დავთრები აურია რუსეთის მთავრობას. არ მოელოდა მუშების ამგვარ ქცევას. რაც შეეძლო ელაქუცებოდა მათ და მათს წინაშე დემოკრატობდა კიდეც, მაგრამ აქ იმედებმა უმტყუნეს. მთავრობა მაინც გულს არ იტეხს: საზღვარგარედ არწმუნებს ქვეყანას, რომ ეს ერთ მუჭა აგიტატორთა, და ისიც შვედომანთა ბრალია, თვით ხალხი კი აქ არაფერ შუაშიაო. იგივე მთავრობა მუშებს კი ელაპარაკება: „რა თქვენი საქმეა მაგგვარი დემონსტრაციები, თქვენ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე უნდა იდგეთ და ნაციონალურ კითხვაში არ ერეოდეთო" (« Le Socialiste » nº 89). მაგრამ, როგორც ხედავთ, თვით მუშები სხვანაირად სჯიან. კარგად ესმისთ, თუ რა დამოკიდებულებაა კლასთა ბრძოლისა და ამ ბრძოლის ნამდვილ ხასიათის გამოსააშკარავებლად აუცილებელ პოლიტიკურ პირობებ შუა.

ცხვრის ტყავით მოსილი მგელი მათ ვერ შეაცდენს!

—

ბობრიკოვის სიკვდილის შემდეგ ფინლანდიაში რუსეთის მთავრობა სრულიად თავისუფლად და დაურიდებლად დათარეშობს, წაღმა-უკუღმა იჭერენ სრულიად უდანაშაულო ადამიანთ. ზოგს მათგანს გზავნიან პირდაპირ პეტერბურგს პეტრე-პავლეს ციხეში და ზოგს სრულიად სამშობლოდან აძევებენ. ასე, თვით ბობრიკოვის მკვლელის შაუმანის მამა, 60 წლის მოხუცი, ისე მოაცილეს თავისს ცოლ-შვილს, რომ არც კი მისცეს ნება ძვირფას არსებათ გამოსთხოვებოდა და გაუყენეს პეტერბურგის გზას. იქ კი ჩააგდეს პეტრე-პავლეს ციხეში. ასეთივე ბედი ეწვიათ ბევრს სხვებსაც პროფესორებს, ინჟინერებს და საზოგადოთ ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

## მცირე შენიშვნა ბ. მეგრელის წერილის გამო

მეგრელის წერილს « ქართველ ერს », რედაქციამ შენიშვნა გაუკეთა (« საქ. » Nº 1 (13) — 1904), რომელიც შეცდომით გამოტოვებული იყო, ეხლა ვბეჭდავთ მას:

« ვეთანხმებით ავტორს, როცა ლაპარაკობს ქარ-
« თველ ერის აუტანელ მდგომარეობის შესახებ, ვე-
« თანხმებით მაშინაც, როცა მოგვითხრობს საქართ-
« ველოსთვის ავტონომიის საჭიროებას, მაგრამ არ
« ვეთანხმებით მას მაშინ, როცა ვითომდა ქართველ
« ერის უმოქმედობის გამო, სასოწარკვეთილებას მი-
« სცემია. ნუ თუ გამოეპარა ავტორს ის სასტიკი და
« შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც ჩვენმა მუშებმა და
« გლეხობამ მთელს აწ არსებულ წეს-წყობილებას გა-
« მოუცხადა? ნუ თუ ამგვარ ბრძოლის მაყურებელი
« გამამხნევებელ მაგალითებს წარსულში უნდა ეძებ-
« დეს? არა, ჩვენ წარსულისკენ კი არ უნდა ვიყუ-
« რებოდეთ, არამედ იმ მომავალისაკენ, რომელ-
« საც სახელად სოციალიზმი ქვია; აწმყოში კი უნდა
« ვეძებდეთ იმ ცხოველ-მყოფელ ელემენტებს, რო-
« მელნიც შეჰქმნენ იმ ბრწყინვალე მომავალსა. და
« სწორედ ამ ელემენტებს შეადგენს ის მშრომე-
« ლი ნაწილი ჩვენის ერისა, რომლის გაბედულმა მოქ-
« მედებამ აგრე გამოაფხიზლა მთელი ჩვენი ცხოვ-
« რება ».

რედაქცია.

## რედაქციისაგან

ბევრნი აცხადებენ სურვილს. რომ „საქართველოში" მიეცეს ადგილი არაპარტიულ, თავისუფალ წერილებსაც. ვიღებთ ამას მხედველობაში და დღეის იქით „საქართველოში" იქნება კერძო განყოფილება „თავისუფალი ტრიბუნა"-ს სახელით, რომელშიაც ყოველნაირ მიმართულების წერილებს დაეთმობათ ადგილი.

გამოვიდა ახალი ქართული წიგნაკი « აი კრიტიკა » (პასუხი « ქართ. ნაც. » ავტორს). წიგნაკი გამოცემულია « საქართველოს » რედაქციის მიერ, შეიცავს 40 გვერდს და ღირს 50 სანტიმი ანუ 20 კაპეიკი.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციის ოქმები.

(1) ქ. ნ. გვ. 47.

გაზ. „საქართველოს" სტამბა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.